



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 37

21 04 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის
 N03/4167 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 აპრილის სხდომის N7 ოქმის მე-7 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 აპრილის N03/4167 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2017 წლის 20 აპრილის N1749-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, საქართველოს პარლამენტის წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის რუსლან გაფიევის ბიუროს ფუნქციონირებისათვის, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზურფრუქტით, ბიუროს ფუნქციონირების ვადით, გასცეს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N73-ში მდებარე მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (საკადასტრო კოდი: N83.02.23.203) პირველ სართულზე არსებული 67 კვ.მ. ფართიდან 33,5 კვ.მ. ფართი.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი